

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №433
2023 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეების, მათი ღირებულებებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის და საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმებისა და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილების მე-4 მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

- ა) „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეები, მათი ღირებულებები და გაანგარიშების მეთოდოლოგია“ (დანართი №1);
- ბ) „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმები და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესი“ (დანართი №2).

[მუხლი 1¹

„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეები, მათი ღირებულებები და გაანგარიშების მეთოდოლოგიით“ (დანართი №1) გათვალისწინებული ფინანსური და ეკონომიკური პარამეტრები განახლდეს ყოველი წლის პირველ მარტამდე. (ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან)]

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2025 წლის 24 ივნისის ბრძანება №161 - ვებგვერდი, 25.06.2025წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი



საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეები, მათი ღირებულებები და გაანგარიშების მეთოდოლოგია

მუხლი 1

1. „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილებით განსაზღვრული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი ერთეულების სახეები:
 - ა) დისკონტირების განაკვეთი;
 - ბ) ინფლაცია;
 - გ) ნომინალური ხელფასის ზრდა;
 - დ) სიცოცხლის სტატისტიკური ღირებულება;
 - ე) ნახშირბადის (CO₂) ჩრდილოვანი ფასი, გამოხატული ტონის ეკვივალენტით ლარში;
 - ვ) დროის სტატისტიკური ღირებულება;
 - ზ) დამატებით შექმნილი ერთი სამუშაო ადგილის ღირებულება;
 - თ) დამატებით ერთი ტურისტისგან მიღებული სარგებლის ღირებულება.
2. საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებისთვის გამოსაყენებელი ძირითადი ერთეულების სახეები, მათი ღირებულებები და გაანგარიშების მეთოდი მოცემულია ცხრილში №1:

ცხრილი №1

№	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის სახე	პერიოდი	გაზომვის ერთეული	საბაზისო ოდენობა	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშების მეთოდი	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება შემდგომი წლებისთვის
1.	დისკონტირების განაკვეთი	წელი	%	8.6	8.579	პროექტის წარდგენის წინა წელს საქართველოს მთავრობის ყველაზე მაღალი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების ბოლო აუქციონზე დაფიქსირებული განაკვეთი, დამრგვალებული მეთათემდე ¹ .	წლის განმავლობაში მოსამზადებელი პროექტებისთვის გამოიყენება დისკონტირების განაკვეთის საბაზისო ოდენობა.

¹ https://mof.ge/emisia_dafarva; <https://mof.ge/5701>

№	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის სახე	პერიოდი	გაზომვის ერთეული	საბაზისო ოდენობა	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშების მეთოდი	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება შემდგომი წლებისთვის
2.	ინფლაცია	წელი	%	3.0		საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი. ²	წლის განმავლობაში მოსამზადებელი პროექტებისთვის გამოიყენება ინფლაციის განაკვეთის საბაზისო ოდენობა.
3.	ნომინალური ხელფასის ზრდა	წელი	%	9.8		საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ³ ბოლო 10 წლის ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი.	წლის განმავლობაში მოსამზადებელი პროექტებისთვის გამოიყენება ნომინალური ხელფასის ზრდის საბაზისო ოდენობა.
4.	სიცოცხლის სტატისტიკური ღირებულება	წელი	ლარი	907 824.4	(74.9-38.4) X 24,871.9	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას ⁴ გამოკლებული მოსახლეობის მედიანური ასაკი ⁵ და გამრავლებული მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ⁶ .	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაზრდილი ნომინალური ეკონომიკური ზრდით თითოეულ წელს საშუალოდ 8.0 პროცენტით.
5.	ნახშირბადის (CO ₂) ჩრდილოვანი ფასი, გამოხატული ტონის ეკვივალენტით ლარში	წელი	ლარი	50	ერთი ტონა ნახშირბადი	მსოფლიო ბანკის (WB) მიერ შემოთავაზებული ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადგენილი საშუალო	ნახშირბადის (CO ₂) ჩრდილოვანი ფასი, გამოხატული ტონის ეკვივალენტით ლარში უნდა გაიზარდოს ინფლაციის პროცენტული მაჩვენებლით,

²<https://nbg.gov.ge/page/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>

³<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

⁴<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/320/gardatsvaleba>

⁵<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

⁶<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

№	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის სახე	პერიოდი	გაზომვის ერთეული	საბაზისო ოდენობა	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშების მეთოდი	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება შემდგომი წლებისთვის
						ღირებულების ეკვივალენტი ლარში.	რომელიც აღწერილია მე-2 პუნქტში.
6.	დროის სტატისტიკური ღირებულება	საათი	ლარი	10.6	(2,058.7/168)X(1-0.139)	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, შეფარდებული თვეში სამუშაო საათების რაოდენობასთან და გამრავლებული ერთს გამოკლებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული უმუშევრობის დონის პროცენტულ მაჩვენებელზე ⁷ .	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი უნდა გაიზარდოს ნომინალური ხელფასის ზრდის პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც აღწერილია მე-3 პუნქტში.
7.	დამატებით შექმნილი ერთი სამუშაო ადგილის ღირებულება	თვეების რაოდენობა	ლარი	2,058.7X თვეების რაოდენობა	2024 წლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2,058.7 ლარი (წინასწარი მონაცემი)	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინა წლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, გამრავლებული თვეების რაოდენობაზე. ⁸	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი უნდა გაიზარდოს ნომინალური ხელფასის ზრდის პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც აღწერილია მე-3 პუნქტში.
8.	დამატებით ერთი ტურისტისგან მიღებული სარგებლის ღირებულება	წელი	ლარი	ადგილობრივი ტურისტი – 78.3 უცხოელი ტურისტი – 257.7	ადგილობრივი ტურისტი: (300/1.6/1.4)X0.6 უცხოელი ტურისტი: (1,189.6/0.5/5.5) X0.6	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო წლის ტურისტის ⁹ (ადგილობრივი და უცხოელი) საშუალო თვიური ხარჯი, შეფარდებული ტურისტების საშუალო	დამატებით ერთი ტურისტისგან მიღებული სარგებლის ღირებულება უნდა გაიზარდოს ინფლაციის პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც აღწერილია მე-2 პუნქტში.

⁷ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

⁸ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

⁹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika>

№	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის სახე	პერიოდი	გაზომვის ერთეული	საბაზისო ოდენობა	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშების მეთოდი	ფინანსური და ეკონომიკური ერთეულის გაანგარიშება შემდგომი წლებისთვის
						რაოდენობასთან, შეფარდებული ტურისტების დარჩენის (გათენებული ღამეების) რაოდენობაზე შესაბამისად, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის და გამრავლებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეფასებით მთლიან შიდა პროდუქტზე დანახარჯების ეფექტზე.	

3. „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 4 დეკემბრის №461 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მონაცემების განახლებას საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (www.epim.mof.ge).

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის კრიტერიუმები და ამ პროექტების შეფასების ქულათა სისტემის განსაზღვრის წესი

მუხლი 1.

1. „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის №65 დადგენილებით (შემდეგში - საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია) განსაზღვრული მსხვილი (20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების) კატეგორიის ან სპეციფიკური შინაარსის მქონე საშუალო (≥ 5 - < 20 მლნ ლარის ღირებულების) კატეგორიის პროექტებისთვის, რომელზეც საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს (შემდეგში - სამუშაო ჯგუფი) მოთხოვნილი აქვს სრული ეკონომიკური ანალიზის წარმოდგენა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების საბოლოო შერჩევის მიზნით, სამუშაო ჯგუფი კონცეფციის ბარათის, ხარჯთ-სარგებლიანობის შეფასების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაანალიზების საფუძველზე, აფასებს აღნიშნულ პროექტებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - ა) პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა;
 - ბ) პროექტის მომხმარებლების რაოდენობა/მოთხოვნის ანალიზი;
 - გ) ფინანსური მდგრადობა;
 - დ) კლიმატის ცვლილება.
2. სამუშაო ჯგუფი, მხარჯავი დაწესებულების მიერ ინიცირებულ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მსხვილი კატეგორიის ან სპეციფიკური შინაარსის მქონე საშუალო კატეგორიის პროექტებისთვის, რომელზეც სამუშაო ჯგუფს მოთხოვნილი აქვს სრული ეკონომიკური ანალიზის წარმოდგენა, საბოლოო შერჩევის ეტაპზე ანიჭებს შესაბამის ქულას შეწონილი მაჩვენებლების გათვალისწინებით, ცხრილი N1-ის შესაბამისად.

ცხრილი N1

No	კრიტერიუმი	აღწერა	გაზომვის მეთოდი	წონა
1	პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა	დადასტურებულია თუ არა პროექტის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა შესაბამისი არგუმენტებით, რაც გულისხმობს დადებით ეკონომიკურ სარგებელს და არ არსებობს პროექტის უკეთესი გზით განხორციელების შესაძლებლობა.	3 ქულა - ეკონომიკური სარგებელი აღწერილია და მისი ღირებულება შეფასებულია. ეკონომიკური უკუგების დონე (EIRR) ორჯერ მეტია დისკონტირების განაკვეთზე; 2 ქულა - ეკონომიკური სარგებელი აღწერილია და მისი ღირებულება შეფასებულია. ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) მეტია დისკონტირების განაკვეთზე; 1 ქულა - ეკონომიკური სარგებელი აღწერილია, თუმცა მისი მონეტარული ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია.	5

No	კრიტერიუმი	აღწერა	გაზომვის მეთოდი	წონა
			ეკონომიკური შიდა უკუგების დონე (EIRR) ნაკლებია დისკონტირების განაკვეთზე; 0 ქულა - ეკონომიკური სარგებელი არ არის აღწერილი.	
2	პროექტის მომხმარებლების რაოდენობა/მოთხოვნის ანალიზი	პროექტის განხორციელების შედეგად შესაბამის არეალში (ქალაქი, მუნიციპალიტეტი, დასახლება) მოსახლეობის/პროექტის მომხმარებლების რაოდენობა.	3 ქულა - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 5%-ზე მეტი; 2 ქულა - შესაბამისი არეალის 20%-ზე მეტი; 1 ქულა - შესაბამისი არეალის 5%-დან 20%-მდე; 0 ქულა - შესაბამისი არეალის 5 %-ზე ნაკლები.	2
3	ფინანსური მდგრადობა	პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პირდაპირი შემოსავლები ფარავს თუ არა მიმდინარე ხარჯებს.	3 ქულა - პირდაპირი შემოსავალი აღემატება საოპერაციო ხარჯებს; 2 ქულა - პირდაპირი შემოსავალი ფარავს საოპერაციო ხარჯების 75%-ს და მეტს; 1 ქულა - პირდაპირი შემოსავლები ფარავს საოპერაციო ხარჯების 30%-დან 75%-მდე; 0 ქულა - შემოსავლები ფარავს საოპერაციო შემოსავლების 30%-ზე ნაკლებს.	2
4	კლიმატის ცვლილება	კლიმატით გამოწვეული რისკისა და ეკონომიკური ადაპტაციის ზომების, ასევე კლიმატის ცვლილებაზე პროექტის გავლენის გათვალისწინების შესაძლებლობა.	2 ქულა - პროექტი ადაპტირებულია კლიმატის ცვლილების იდენტიფიცირებულ რისკებზე ან პროექტს არ აქვს უარყოფითი გავლენა კლიმატის ცვლილებაზე და პროექტის განხორციელება ხელს უწყობს CO ₂ ემისიების შემცირებას; 1 ქულა - პროექტით გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილების იდენტიფიცირებული რისკები ან პროექტს არ აქვს უარყოფითი გავლენა კლიმატის ცვლილებაზე ან პროექტის განხორციელება ხელს უწყობს CO ₂ ემისიების შემცირებას; 0 ქულა - პროექტით არ არის გათვალისწინებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და/ან პროექტის განხორციელება ხელს უწყობს CO ₂ -ის ემისიების ზრდას.	3

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ცხრილი N1-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით თითოეული პროექტისთვის მინიჭებული ქულა მრავლდება თითოეული კრიტერიუმისთვის განსაზღვრულ შესაბამის წონაზე. პროექტის საბოლოო შეწონილი ქულა არის თითოეული კრიტერიუმისთვის მინიჭებული შეწონილი ქულათა ჯამი.

4. სოციალური შინაარსის პროექტი, რომელიც ფინანსურად არ არის მომგებიანი, სხვა პროექტებისგან განსხვავებით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ცხრილი N1-ში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შეფასდეს დაბალი ქულებით, ვინაიდან სპეციფიკის გათვალისწინებით სოციალური პროექტი არ არის მომგებიანი ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშების მიხედვით, თუმცა მნიშვნელოვანია მისი განხორციელება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. დაბალი შეფასების მიუხედავად, სოციალური შინაარსის პროექტების განხორციელების შესახებ შესაძლებელია მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროექტები ქმნიან საზოგადოებრივ სიკეთეს და მათი განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას.
5. სამუშაო ჯგუფი, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის შესაბამისად ამზადებს დასკვნას, რომელიც პროექტის ფინანსურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად მოიცავს პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული დასკვნა წარედგინება ეკონომიკურ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების/არ განხორციელების შესახებ.